№ 162
ხუთშაბათი, 30 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 162
ხუთშაბათი, 30 ივლისი, 1898 წ.
ერეკლეს ქუჩა
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ГАЗЕТИНЫЕ ОБЪЯВЛЕНІЯ
ГАЗЕТИНЫЕ ОБЪЯВЛЕНІЯ
ГАЗЕТИНЫЕ ОБЪЯВЛЕНІЯ

ГАЗЕТИС ДИРЕ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ГАЗЕТИНЫЕ ОБЪЯВЛЕНІЯ
ГАЗЕТИНЫЕ ОБЪЯВЛЕНІЯ

ექსარხოსის ფლაბიანისა და გორის ეპისკოპოსის ლეონიდთან ერთად.

⁂ გუშინ, 29 ივლისს, კრება ჰქონდა საბჭოს იმ კომისსიას, რომელსაც მინდობილი აქვს ციციანთ ალმართის გაკეთება; როგორც უწყით, საბჭოს მიერ ამისათვის გადადებულია 9,000 მან. რადგან ამ ალმართის გაკეთების საქმეს იჯარით გაცემა არ მოხერხდა იმის გამო, რომ საბჭოს მიერ ცოტა ფულია გადადებულიო, ამბობენ მოიჯარადრენი, ამიტომ კრებამ დაადგინა, თვით ქალაქის გამგეობამ იკისროს ამ ალმართის გაწმენდა-გასუფთავება.

⁂ გუშინ ტფილისში გამოაშკარავებულ იქმნა ერთი სახადით ავადმყოფი პოლიციის მეცხრე განყოფილებაში (მიხეილის ქუჩაზე) და ორი ყვავილით ავადმყოფი პოლიციის 7 და მე-10 განყოფილებაში (ნორიოსა და მიხეილის ქუჩაზედ).

⁂ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს განზრახვა აქვს მომავალ მეორე კავკასიის საბალოსნო გამოფენაზედ აჩვენოს ხალხს ყველა ის მანქანა და საშუალება, რომლითაც შეიძლება ბრძოლა გაეწიოს ხეხილისა და ვაზის სხვა-და-სხვა გვარის მავნე მწერსა და სენს.

⁂ კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ვ. ნ. გეევსკი უკვე დაბრუნდა კახეთიდგან ტფილისს და ამ დღეებში გაემგზავრება ქუთაისის გუბერნიისაკენ ამერიკულ ვაზის სანერგეების დასათვალიერებლად.

⁂ 28 ივლისს ღამე მდ. მტკვარმა უცებ მოიმატა ნახევარ აღლის სიმაღლე და წყლის საკურთხებლად აგებული ფარდული კინალამ არ მოიტაცა, რადგან წყალი თავისუფლად გადადიოდა ფარდულის იატაკზედ. იმავ ღამეს ტეხნიკოსმა მელიქ-ბეგლიაროვმა შესაფერი ღონისძიებანი იხმარა და უზრუნველ ჰყო ფარდული მოტაცებისაგან.

⁂ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს, ბ-ნ ჯაბადარს პროექტი წარუდგენია ქალაქის [illegible]

ფრინველთა ბაზრის გამართვის შესახებ. ამ პროექტით ბ-ნი ჯაბადარი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ამოირჩიეთ ისეთი ალაგი, რომ 25,000 შინაური ფრინველი დაეტიოს და გაჰმართეთ იქვე საყასბო. იქვე უნდა იყვნენ ბეითლები ფრინველთა გასასინჯათ, გამართული იყოს ღუმელი და ქვაბები დაკლულ ფრინველის გასაბდღვნელად და ბუმბულის გასამშრალებლად. ხოლო გარდასახადად დაინიშნოს ვარიისა 1 კაპ. და თითო ქათამ-ბატ-ინდაურისა-კი 2 კაპ. ტფილისში ყოველ წელს იყიდება 525,000 ქათამი დაკლული თუ ცოცხალი, 630,000 ვარია და 40,000 ბატი, იხვი და ინდაური. ამას გარდა, სოფლელები ყოველ წელს ჰყიდიან 50,000 ცალს ფრინველს, ასე რომ ყოველ წელს ქალაქ ტფილისში სულ იყიდება 1,245,000 ფრინველი. ამ ანგარიშით ქალაქის გამგეობას შემოსავალი ექნება წელიწადში 17,600 მან., მხოლოდ ამ ბაზრის მოწყობა-მომართვას-კი ერთ ხანად ხარჯი მოუნდება 3,000 მან. და ყოველ წლიურად 3,600 მანეთამდე, ასე რომ ქალაქის შემოსავალს პირველსავე წელიწადს 11,000 მან. მოემატება და მცხოვრებლებიც უზრუნველ-ყოფილნი იქმნებიან ჭირიან და ჟავარგის ფრინველის საქმლად ხმარებისაგან.

⁂ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამმართველომ დაადგინა დააარსოს მარტვილის მონასტერში საერთო საცხოვრებელი ბინა 40 ბერისათვის. განზრახვა აქვთ სხვა მონასტრებშიაც გაჰმართონ ამ გვარი საცხოვრებელი ადგილები.

⁂ 27 ივლისს, საღამოს $8^1/_2$ საათზედ, ჯუმათის სადგურზედ ბათუმის მახლობლად ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ხანჯლით დასჭრა ოზურგეთის მცხოვრებელი მიხეილ მიქაძე და დაიმალა. დაშავებული სამკურნალოდ გაგზავნილ იქმნა მახლობელს სასოფლო თავ-შესაფარში, ხოლო დამნაშავეს დაეძებენ.

⁂ ქალაქის გამგეობამ უკვე შეიმუშავა პროექტი იმ ცხენის რკინის [illegible] ეკლ[illegible] გაყვანილ

ასწევს გლეხკაცის მეურნეობას. ჩვენა გვგონია, რომ გლეხი ამ ერთხანობით ნაპატივებ ღალას დუქანში წაიღებს და ბატონ ოქროს სადღეგრძელოს მიირთმევს... და განა ეს უნდოდა ოქროს?

აგრეთვე სკოლა. ჩაჰფიქრებიან ჩვენი ოქროები, თუ რა ნაყოფი მოაქვს დღევანდელს ჩვენს სასოფლო სკოლას? ჩვენა გვგონია, რომ არა, თორემ ოპტიმისტურ აღტაცებას არ მიეცემოდნენ მის გახსენებისათანავე.

ან. ერისთავის სურვილის წინააღმდეგ მისი ოქრო, გმირის ნაცვლად, ძალიან პატარა ყალიბის კაცია; ქვეყანა მოუვლია, სწავლა ვერ მიუღია და მხოლოდ აქა-იქა ყურმოკრულ სიტყვებს იმეორებს: შრომა, მამული. სოფვლი, პატიოსნება, დემოკრატია და სხვა და სხვა. ამის მაგიერ ოქროს შეუძლიან თამამად სთქვას: მახოხი, ლეღვის ჩირი, პანტა, მაჟალო. ორივე შემთხვევაში ის გაიძახის ცალიერ სიტყვებს. მთელს მოთხრობაში ოქრო შრომის შესახებ ლაპარაკობს და ვერ-კი უშრომნია. მაგრამ ყველაზედ სასაციო. რაც საქართველოში მოველ, განუსაზღვრელ გარემოებაში ვიმყოფები. (ტყუის! ან რა სისულელეა ეს „განუსაზღვრელი გარემოება“?— Безграничныя обстоятельства!?) მანდ დაწყობილმა გეგმამ ჩემის მოქმედებისამ არ ივარგა; ნიადაგი, ხალხი და ჰაერი თითქოს წინ აღუდგა, ერთხმად შესძახეს: ჯერ ადრეა, ჩვენთვის უცხოაო. (ტყუის: არავითარი „დაწყობილი გეგმა“ ოქროს არა ჰქონდა. წინ რაღას აღუდგნენ? ნუ თუ იმას, რომ ორ-სამ კაცს ღალა აპატია? ანუ სკოლას აღუდგნენ წინ? იმ სკოლას, რომელსაც თითონ უშენებდა გლეხებს თავისის ხარჯით?) გადავწყვიტე ჯერ გავიცნო ხალხი, მაგრამ მგონი მთელი სიცოცხლე შევალიო ამ სურვილს (ოღონდაც! ოქროსთანა კაცი მთელი სიცოცხლე იტრიალებს ხალხში და ხალხს-კი ვერ გაიცნობს. ეს ერთი მართალი როგორღაც წამოსცდა!) ღმერთო, ნუ თუ ამ მშვენიერ ნიჭიერ ხალხში უნდა იმალებოდეს ბოროტება? (კარგია, თუ იმალება მხოლოდ. მაგრამ რომელ ბოროტებასა ჰბძანებს? განა

ლო ის არის, რომ ეს მუქთა ხორა ვაჟბატონი, ეს ცალიერ და უმნიშვნელო სიტყვების გუდა, ეს ქარაფშუტა დიპლომოსანი, რა დარწმუნდება თავისის თავის არარაობას, თავისის თავის ფუქსავატობას, როდი სტყდება, რომ თითონ არა ჭლირს ჭიან ტყემლად, სხვასა სდებს ბრალსა. ხელი შემიშალესო, ვერ დამაფასესო, და სხვა.

იმდენად შესანიშნავია თავისის უკიდურესის უხამსობით ეს ბოდვა ოქროსი, რომ არ ძალმიძს აქ მისივე სიტყვები არ მოგახსენოთ. ჩვენ მხოლოდ შიგადაშიგ ჩვენს შენიშვნებს ჩავურთავთ.

სოფელში ცხოვრების რამდენისამე თვის შემდეგ ოქრო იჯდა თავისს კაბინეთშიო, მოგვითხრობს ან. ერისთავისა, და სწერდა თავისს მეგობარ ვანოს მოსკოვში შემდეგსაო:

„კარგა ხანია მას აქეთ (გვერდი 198), რაც არ გამოგლაპარაკებივარ, ძვირფასო მეგობარო! უეჭველია ფიქრობ: ის თავმოყვარე ქართველია: ვიდრე სჭირდები, აგონდები,—მერე მეტად ჩაგთვლის, ზურგს მოგაქცევ-

არის ამ ხანად, ან ყოფილა როდისმე ერი, რომელშიაც „ბოროტება“ არა ყოფილა? მაშ რას ამბობს დიპლომოსანი ოქრო?) ჩემი ცხოვრება ორწყალ შუაა, არ ვიცი რომლის ნაპირას გამიყვანს ბედის ნავი. (ჰხედავთ! განათლებულ ოქროს ხეპრე კაცივით სწამს, რომ ყოველს კაცს თავისი ბედი შუბლზედ უწერია!) შენ კარგად იცნობ ჩემს იდეალს, მისწრაფებასა, რომელიც მდგომარეობს გაჭირვებულ მოძმეთა დახმარებაღდგენაში. (მერე იცით, ბატონო, რა გზით აღდგება თქვენი მოძმე? თქვენა გგონიათ, რომ ეს გზა არის ღალის პატიება. ძალიან სცდებით). მოვედი თუ არა, სოფლისკენ გავწიე. ძმა მკლავებ გაშლილი დამიხვდა, ფრთები შეასხა ჩემს სურვილებს, აღმითქვა დახმარება... მაგრამ, მერე, როცა ხალხს დავუწყე ძლევა, ძმაც და მეზობლებიც განზე გამიდგნენ. (ბოშო, და მაშ რა გეგონა? ქვეყანა შენისთანა სულელი გეგონა და მოსტყუვდი?! შენ ძმა ტიტიკოს რომ დაეჯერებინა შენთვის, ისიც ხომ ბოლოს შენსავით გლახა გახდებოდა.

ხაზინამ გადასდო პიატიკორსკისათვის — 9,539 მან., კისლოვოდსკისათვის — 2,607 მან., ესსენტუკისათვის — 1,608 მან. და ჟელეზნოვოდსკისათვის — 992 მან. მოსამსახურეთა რიცხვისა და ჯამაგირების რაოდენობის გამორკვევა მიენდო კავკასიის მთავარმართებელს.

⁂ ქუთაისი. 19 ივლისს სცენის მოყვარეთ გაჰმართეს წარმოდგენა ხიზაბავრის ეკკლესიის სასარგებლოდ, რომელიც ეხლა შენდება. წარმოდგენა გამართული იყო ბ-ნ თუმანიშვილის სახლში, რადგანაც თეატრის დარბაზს უსასყიდლოდ არავის უთმობენ. მოთამაშენი იყვნენ სცენის მოყვარენი ქალნი და ვაჟნი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოება, რომელიც ბლომად დესწრო, ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. წარმოადგინეს: „ბაიყუში“ ცაგარლის კომედია, „მონადირე“ და ვოდევილი „არც აქეთ და არც იქით“. მონაწილეობას იღებდნენ: კნიაგინა ნ. აბაშიძისა, ქ-ნი ნინო ფერაძისა და ბ-ნნი დ. ანძერიძე, გ. საფაროვი, ა. ფეიქრიშვილი, ა. ვარლამიშვილი, ვ. ჩინიჟიშვილი და ა. ბალახოვი. სამწუხაროდ, სცენის სივიწროვე და უხერხულობა ხელს უშლიდა წარმოდგენას, მაგრამ მოთამაშეებმა მაინც დასძლიეს ეს დაბრკოლება, მადლობის ღირსია ბ. ა. ფეიქრიშვილი ამ წარმოდგენის გამართვისათვის.

⁂ ოზურგეთი. ამ წლის პირველ იანვრიდგან მთელს მაზრაში დაარსებულ იქმნა 6 სამრევლო სასწავლებელი: სოფ. ტოლებსა, ქვემო-აკეთსა, გონების-კარსა, ბულუხაურსა, ჯვარცხმასა და ექადიაში. სამაზრო მეთვალყურის მოხსენებით საჭიროა სამრევლო სასწავლებლები დაარსებულ იქმნას სოფ. ჭანიეთსა, აჭსა, კახურსა, ახალსოფელსა, კვირიკესა, მაიდანსა, ზემოუბანსა, არხატისსა, გოგორეთსა, ჰამპალეთსა, უჩხობსა, ჭალასა, ბუხუთსა, ძიმითსა, გიორსა, ამაღლებასა და ზემო ამაღლებაში. ამათ გარდა საჭიროა აგრეთვე დაარსებულ იქმნას 8 წერა კითხვის სასწავლებელ[illegible] [illegible] სასწავლებელს წელიწადში 5,015 მან.

დასჭირდება და 8 წერა-კითხვის სასწავლებელს — 1,640 მან. სულ 25 სამრევლო-სასწავლებელს — 7,755 მან.

⁂ ს. ჭდა, (ქვედა აჭარა), 19 ივლისი. აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა; ისეთი საშინელი სიცხეა, რომ მიწაზედ კვერცხი შეიწვის. ასეთ სიცხე-გვალვის მომსწრენი არა ვყოფილვართ. სიმინდები ისე ამოიწვა, რომ სრულიად გაყვითლებულია. რაღა თქმა უნდა, წრეულს სიმინდის მოსავალი ძალიან ნაკლები უნდა იყოს. ჰურისა და ქერის თესვა ჩვენში ბლომად არ იციან, უმეტესად სიმინდსა თესენ. თუ ვისმეს ჰქონდა ჰურის ყანა, ისიც ზამთრის სიცივემ გააფუჭა, სათესლე ჰური და ქერი აღარ იშოვება. მადლობა ღმერთს კიდევ, რომ შარშანდელი სიმინდები ზოგიერთს მოეპოვება და ღარიბ ხალხს იმედი აქვს, მშიერი არ დავიხოცებით და სესხით მაინც მოგვცემენო.

ხეხილსა, ყურძენსა და ვაშლ-კაკალს ჯერ კარგად ასხია, ამ მხრივ მოსავალმა არ გვიმტყუნა. ჩვენს ხალხს ხილის დიდი იმედი აქვს, სახელმწიფო ხარჯი ამითი უნდა გაისტუმროს.

რამდენჯერმე აჭარაში სკოლის დაარსების შესახებ თხოვნა დაწერილი გვქონდა, მაგრამ ყურადღება არავინ არ მოგვაქცია და დარჩენილები ვართ ასე უსასწავლებლოდ. ნუთუ ამ მხრივ ჩვენს ხალხს ბედი არასოდეს არ გაუღიმებს?!.

⁂ სოფ. სკრა, (გორის მაზრა). 26 ივლისს ღამე ვიღაც ბოროტ-მომქმედთ ცეცხლი წაუკიდეს ნახევრობამდის ბზით გატენილს საბძელს, რომელიც „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ მამულში იდგა. საბძლიდგან ცეცხლი მოეკიდა იქვე მახლობლად მყოფს ქერის ბჯას და სულ ერთიანად დაიწვა. ზარალი 300 მან. მამულის გამგემ ცეცხლის მოკიდებისათანავე რკინის გზის სადგურის უფროსს მიჰმართა, რომ ცეცხლის საქრობი მახლანა გვათხოვეთო, მაგრამ უფროსმა ბ-ნმა ზახარინმა არ შე-

ოქროს ძალიან უკვირს და უმეცრებაში უთვლის ძმასა და ნათესავებს, რატომ ჩემებრ სულელურად არ დაბნიეს მამა-პაპეული ცხოვრებაო!) ჰაერში კოშკების მშენებელი, ბედოვლათი მიწოდეს. (ეს ცოტაა, მე და ჩემმა ღმერთმა!) იძულებული ვიყავ გავყოდი ტიტიკოს. ის მეუბნება: ადრეაო! (რა არის ადრე? რას ბოდავ, თქვენო ბრწყინვალებავ?) მეორეც ესა—მარტო მე ვერას გავხდები, მას-კი არ შეუძლიან მომყვეს, რადგან ცოლშვილის პატრონს ეს ნაბიჯი (რომელი ნაბიჯი?!) ძვირად დაუჯდება. ამ აზრისაა ტიტიკო, და ნუ თუ ვიწრო ჩარჩოში არ არის ჩასმული ეს მისწრაფება? (რომელი მისწრაფება? მაშ ცოლ-შვილს კვება არ უნდა? მაშ ცოლ-შვილიანი კაცი საზოგადო მოღვაწეთ აღარ ვარგებულა? მაშ ყველა დიდი კაცი და საქვეყნო მოღვაწე უცოლ-შვილო იყო? სწორედ საკვირველია ოქროს საქმე).

ასე და ამგვარად გააჭრელა უშველებელი წერილი ოქრომ, რომელშიაც ყველას ემდურის. დაჰვიწყებია

იწყნარა გამგეს თხოვნა. სწორედ სამწუხაროა, რომ ამ გვარ შემთხვევის დროს რკინის გზის მოხელეობა შესაფერს დახმარებას არ აძლევს ხოლმე თავისს მეზობლებს. (ახ. მიმ.)

*** 27 ივლისს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი ახ. იაშვილი და დაღესტნის ოლქის მცხოვრებელი ჰაჯი-მამედ-ოღლი ძველ ფოსტის ქუჩის ერთს ლუდხანაში შევიდნენ და ერთი კვარტი ლუდი მოითხოვეს. სმის დროს ასტეხეს ერთი აურ-ზაური; იაშვილმა იძრო ხანჯალი და ცემა დაუწყო ჰურჰელსა და დაზგას, ლუდხანაში შევიდა პოლიციელი და უბრძანა, რომ ზოქაულთან წამამყევიო, მაგრამ იაშვილმა ყურადღება არ მიაქცია. პოლიციელს მოეშველნენ სხვებიც და იაშვილი შეიპყრეს ეზოში, საიდანაც აპირობდა გაქცევასა და დამალვას.

*** სოფ. შემოქმედი, (ოზურგეთის მაზრა). 20 ივლისს ქეიფის დროს ჩხუბი მოუვიდათ გლეხებს ვაშაკიძესა და ჩიტაშვილს და ჩხუბის დროს ჩიტაშვილმა რევოლვერით მოჰკლა ვაშაკიძე.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ᲛᲝᲮᲘᲡᲘ, (გორის მაზრა). 1893 წლამდე, როდესაც დაიწყეს ჩვენში თავად-აზნაურობის წოდებისა და განათლებულ კაცთა არჩევა მამასახლისებად, აქაური ეხლანდელი სამამასახლისო შესდგებოდა სამს სამამასახლისოსაგან, სამს საზოგადოებისაგან და თითოეულის საქმეს თითო მამასახლისი განაგებდა. ერთი საზოგადოება გახლდათ მოხისისა, მეორე-ვაყასი და მესამე—ალისა. ზემოხსენებულს 1893 წელს ეს სამი საზოგადოება შეაერთეს და აირჩიეს ყველასთვის ერთი მამასახლისი, კაცი ვითომ-და განათლებული. თქვენი მტერი, რაც ამ მამასახლისს გაუჭირდა საქმის მართვა-გამგეობა. სამამასახლისოში ითვლება ეხლა 22 სოფელი, გაფანტული თითქმის 200 ოთხ-კუთხ ვერსის მანძილზედ. ერთს სოფელში რომ მივა კაცი საქმისა გამო მამასახლისთან, ეტყვიან, სხვა სოფელში წავიდაო, იქ გადახვალ და არც იქ არის; მოდი და ასე სდიე უკან! ან როგორ უნდა მოუაროს მამასახლისმა 22 სოფელს, რომლებშიაც 1200 კომლზე მეტი სცხოვრობს და არა ნაკლები. უწინდელმა მამასახლისმაც, გაუთავდა თუ არა ვადა სამსახურისა, ხელ-მეორედ არჩევანის უარი განაცხადა. აირჩიეს ეხლა სხვა, მაგრამ ვერც ამან გააწყო რამ. არ გასულა სულ ათი თვე, რომ სამსახურს თავი დაანება და ჩააგდო საგონებელში ეხლა ახალი მამასახლისი და სოფლის სამმართველოს დარაჯი და ჩაფარი. საქმე ის გახლავთ, რომ სოფლის მმართველობის ხარჯისათვის (მამასახლისისა, ჩაფრისა და დარაჯის ჯამაგირები და კანცელარიის ხარჯი) წელიწადში თითო კომლს ართმევენ თითო მანათს, თითო მანათის მაგიერ ამ ათ თვეში მიიკროფა ჯერ სამსამი აბაზი და მერე ათ-ათი შაური, სულ თითო მანათის მაგიერად თითო მანათი და 10 კაპ. მოიკრიფა და დაიხარჯა კიდეც, თუმცა ჯერ 10 თვის მეტი არ გასულა. ორის თვის ფული და ორ-ორი შაურიც ჩაიყლაპა. შეერგებათ თუ არა ეს ჩაყლაპვა, არ ვიცით, ხოლო გლეხები-კი ჩივილს აპირებენ. ჩვენის აზრით, აუცილებლად საჭიროა, ამ 22 სოფლისათვის იყოს ერთი მამასახლისი-კი არა, არამედ სამი, როგორც უწინ იყო, ან ორი მაინც, თორემ ერთი მამასახლისი ვერ მოუვლის, რაც უნდა მხნე იყოს.

პურის მოსავალი წრეულს გაცილებით კარგია შარშანდელზედაცა და შარშანწინდელზედაც, მაგრამ რა გამოვიდა! ვინ არ მიადგება ეხლა მახისელის კალოს ჩანახითა და ტომრებით. ურია გინდა, თუ მოვახშე, დალაქი თუ ხარაზი. ყველას აურწყავს გლეხი და მისცემს, რაც ერგება და არ ერგება. რაც უნდა ცოტა გადარჩეს, იმით ინუგეშებს თავს: „ე ვალი ხომ მოვიშორე და ეხლა ღმერთი მოწყალეაო“.

სიმინდის მოსავალს ივლისამდე ცუდი პირი უჩანდა. ქვენა ქარმა და უწვიმობამ თითქმის სულ წაახდინა სიმინდი. მაგრამ 27 ივლისს ღამე და 28 შუადღემდე სწვიმდა და გლეხებს იმედი აქვთ, რომ წვიმა სიმინდს ძლიერ მოეხდება და გამოაბრუნებსო. ვენახი ჩვენკენ ცოტაა, მაგრამ რაც არის, ისიც წაახდინა სუსხიანმა ზამთარმა. აქაურ გლეხის კაცის დაუდევრობამ აქაც იჩინა თავი. ორ წელიწადს არ იყო ძლიერ ცივი ზამთარი და ვაზი არ დამარხეს, იქმნება ეხლაც არ იყოს სუსხიანი ზამთარიო. ამ გვარ დაუდევრობას ჯილდოდ ვაზის გაფუჭება მოჰყვა.

ვნახე ახლად დაარსებული სამრევლო სკოლა მოხისისა. სკოლა იმ სახლის ზემო სართულშია მოთავსებული, სადაც უწინ ეკკლესია იყო; სკოლის ოთახი საკმაოდ სუფთაა და კარგადაც არის მოწყობილი. ადგილობრივი მღვდელი ეხლა პატარა სამკითხველო წიგნთ-საცავის დაარსებისათვის ზრუნავს.

სტუმარი

—

სოფ. ᲙᲚᲓᲚᲠᲘ, (სენაკის მაზრა). ეს სოფელი გულეგვრის საზოგადოებაშია გაშენებული მდინარე რიონის მარცხენა მხარეზედ; ჩრდილოეთ აღმოსავლეთით საზღვრავს სოფელს კოდორის მდ. რიონი, სოლო სამხრეთ დასავლეთით მდ. ნარიონალი (უწინ აქ მინავალა რიონი). სოფლის მკვიდრნი უმეტეს ნაწილად სახელმწიფო გლეხნი არიან და სიმინდის მოუვანას მისდევენ; აგერ სამი წელიწადია, რაც უმტეუნა ბედმა და ჩაკარდნენ გაჭირვებულს მდგომარეობაში; 1895 წლიდგან გაუმაუმა რიონმა იწყო გადიდება გაზაფხულ ზაფხულობით, გადმოდის კალაპოტიდგან და თითქმის ყოველ თვე უფუჭებს ხალხს ჭირნახულს, ასე რომ დიდი საქმეა, თუ მეათედს მოუვიდა წლიური სარჩო. ძველი სახელმწიფო გარდასახადი ითვლება ს. კოდორზედ 4,000 მანეთამდე. ესლა საზინამ თავისი მოითხოვა და მოვიდა მთავრობისაგან ბრძანება, რომ ერთიანად გარდაესადათ ეს გარდასახადი, რაც თითოეულს კომლს შეხვდება თითქმის 33 მანეთი; გლეხები აქ ისეთს გაჭირვეებაში არიან, რომ არა თუ 33 მანეთისა, თითო მანეთის გარდახდა გაუჭირდებათ, ასწერეს სარი, ძროხა და შინაური ფრინველი, მაგრამ მაინც ვერა გახდარა. როგორც შეკიტეეთ, მთავრობისათვის მიურთმეკიათ თხოვნა, რომ ცუდ მოსავლიან წლების მიზეზით არ შეგვიძლიან ძველის კალის ერთად გარდახდა და თუ მთლად პატიება შეუძლებელი [illegible], გადმოგვეგზავნოს ხუთის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გარდაკიხადოთო. დიდად დაიმედებულნი არიან სოფლელნი, რომ თავრობა, გაიგებს რა დაწვრილებით ამათს გაჭირვებულს მდგომარეობას, დირსეულს ყურადღებას მიაქცევს და თხოვნას აღუსრულებს.

არა მარტო ერთის მხრივაა ს. კოდორი ტანჯულ-შეწუხებული. როგორც გთქვით, სამხრეთ-დასავლეთით უკლია ს. კოდორს მდ. ნარიონალი; ოთხი წელიწადი იქმნება, რაც რიონმა ჩვეულებად გაიხადა, რომ, როცა ნახევარ არშინზედ მოიმატებს წყალი რიონში, თითქმის ერთი მესამედი რიონის წყლისა ჩადის ნარიონალში, რომელიც ისევ რიონში უნდა ჩაერიოს. ამას ვინ სჩიკის, იმის მაგიერად, რომ წყალს გზა მისცენ, რათა მალე გავიდეს, გაეკეთეს სამ ოთხს ადგილზედ სალობები ვიდაც კ—ანმა და გ—ანმა თუკზის დასაჭერად, რის გამოც წყალი გუბდება და აფუჭებს სახნავ-სათესსა და სანალახო ადგილებს. ამ სალობეების წყალობით საზოგადოებას ყოველ წლიურ 5000 მანეთამდე ზარალი ეძლევა და ამას გარდა, ეს დაგუბებული წყალი აფუჭებს ჰაერს და სხვა-და-სხვა სენს აჩენს.

ამის შესახებ ადგილობრივმა მდვდელმა მ. დ. ფ—მ მიართვა არზა ბ ნს ბაშის ნაწილის ბოქაულს და სთხოვა აეღებინებინა სალობეები ნარიონალზედ. ბ-ნმა ბოქაულმა თავისის მხრივ განკარგულება გასცა და ეს ამბავი ატყობა სენაკის მაზრის ეჭიმს კახიანს. ბ-ნმა კახიანმა გამოგზავნა იკლიანის თვეში 1897 წ. ადგილობრივ შესამოწმებლად ექიმი ხოფერია. ბ-ნმა ხოფერიამ შეამოწმა, რომ ნამდვილად მავნებელია ეს სალობეები საზოგადოების ჯანმრთელობისათვის და აუცილებლად საჭიროა მისი აღება და გაწმენდა ნარიონალისაო, მაგრამ მაინც ეს საქმე ჯერ-ჯერობით ისევე დარჩენილი.

მდ. დომენტი ფირცხალავა

რუსეთი

—

რუსეთში ცოლ-ქმართა განშორებისა და განქორწინების კანონები სრულიად არ აკმაყოფილებს ცხოვ[illegible] გვარი უბედურება ჰხდება. აი, მაგალითებრ, რა ამბავს მოგვითხრობს „Суд. газ.“, რომლის მიზეზადაც სრულიად და სავსებით ამ კანონების უსრულობა უნდა ჩაითვალოს. 1888 წელს ქ. ორიოლის ვაჭრის ახალგაზ. და ვაჟმა ცოლად შეირთო ვაჭრისავე ქალი გიმნაზიის მოსწავლე და რამდენიმე თვე ტკბილად სცხოვრობდნენ ერთად. შემდეგ ქალს შესძაგდა ქმარი, თავი დაანება და მშობლებთან დაბრუნდა. ქმარი ბევრს ეცადა, რომ უკან დაებრუნებინა ცოლი, მაგრამ ქალმა ყოველივე დამოკიდებულება მოსპო ქმართან და წერილი მისწერა: „ამით გატყობინებთ, რომ მე არას დროს თქვენი ცოლი არ გავხდები, როგორც არ ვიყავი დღემდის; მე თქვენ გამჯობინებთ სხვა ღირსეულს კაცს და მალე ყველა იმის შესახებ დაიწყებს ლაპარაკს, რა მდგომარეობაშიაც თქვენ იქმნებით ჩაყენებული, რადგან კანონიერად არ იქმნებით ცოლთან გაყრილი“. ეს წერილი ცოლმა ქმარს თავისს მშობლებთან გადასვლის სამის წლის შემდეგ მისწერა. ამის შემდეგ გაიარა რამდენმამე თვემ და კაცმა გაიგო, რომ იმის კანონიერ ცოლს შვილი ეყოლა და კანონიერად დაბადებულ შვილად შთააწერინა. ქმარმა მიჰმართა ბრალმდებელს, რომ ჩემი ცოლი სამართალში მიეცითო. ბრალდება ისეთი ცხადი იყო, რომ ქალმა თავდარიგი არც კი დაიჭირა თავისს დასაცველად და ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი. როდესაც ოლქის სასამართლოს განაჩენი ძალაში შევიდა, ქმარმა მიჰმართა ადგილობრივს კონსისტორიას, რომ გამყარეთ ცოლს და დამამტკიცებელ საბუთად წარუდგინა ზემოხსენებული წერილი ცოლისა, განაჩენი ოლქის სასამართლოსი და მოწმობა იმის შესახებ, რომ იმის ცოლს შვილი ეყოლა.

კონსისტორიამ არ უარ-ჰყო საბუთების სიმართლე, მაგრამ „1892 წლის მე-XVI ტ. I ნაწ. 1016 მუხლის“ ძალით, რომელშიაც ნათქვამია, რომ მრუშობისათვის სისხლის სამართლის მიერ დასჯილნი მეუღლენი იმავე დანაშაულისათვის [illegible] საეპარქიო სასამართლოს მიერო, უარ[illegible]

მხოლოდ მცირე რამ .. თავისი საკუთარი თავი; თავისი საკუთარი არარაობა, თავისი საკუთარი უსწავლელობა, გაუნათლებლობა. მისის უმნიშვნელობის მიზეზნი კი სწორედ ეს თვისებანია.

უმორჩილესადა ვოხოვთ მკითხველს, გაისარჯოს და თვით გადიკითხოს ოქროს წერილი თავიდგან ბოლომდე (გვ. 198, 199, 200, 201, 202, 203, 204 და 205.) ეს უშველებელი მისი წერილი ჩინებული ნიმუშია კლასიკურის სიცრუისა, სირეგვნისა, უნიჭობისა და ვინ იცის კიდევ რისა!

აი! ეს ვაჟბატონი ან. ერისთავის აზრით საუკეთესო ახალგაზდა ყმაწვილი კაცია ჩვენის დროისა. ავტორის აზრით, აი როგორ ნასწავლებს გვაძლევს, რუსეთი და ევროპა. დიდი, ძალიან დიდი ცილის წამებაა! რასაკვირველია, ბევრი რამ ეძრახება ჩვენს უმაღლეს სწავლა-მიღებულ ყმაწვილ კაცებს, მაგრამ ასეთი ჭკუის სიგლახე-კი არ მიეწერებათ. უმაღლეს სწავლა მიღებულ ყმაწვილ კაცებისა დღევანდელი უმრავლესობა, რასაკვირველია, ვერ დაიქადებს, რომ იგი მომზადებული იყოს საზოგადო მოღვაწეობისათვის, ვერც დიდის გონების განვითარებით მოიწონებს თავს... ხოლო ეს კი უეჭველია, რომ ყოველ მათგანს თითო რამ საგანი სპეციალურად შეუსწავლია და ჰმუშაობს ნელ-ნელა, ეს მასწავლებელია, ის ექიმია, მავანი აგრონომია, ის ბეითალია, ეს ინჟენერია და სხვა და სხვა.

ჩვენ, რასაკვირველია, ამას არ ვკმაროობთ, მეტრს ვითხოვთ მათგან. ხოლო თუ იგინი მეტს ვერ იძლევიან, ეს მარტო-იმათი ბრალი არ არის. ერთი რამ კი უეჭველია, რომ მათ შორის დღისით სანთლით რომ ეძებოთ, ვერ იპოვით ვერავის ოქროსთანა უგუნურს. ასეთი მარცხი ჩვენს ნიჭიერს ავტორს იმიტომ მოუვიდა, რომ თავის ძალ-ღონესა, თავისს განათლებასა და სწავლაზედ აღმატებულს საგანს მოეჭიდა. ან. ერისთავისას რომ თავისის ოქროსთვის პატარა წრე შამოეფარგლა საასპარეზოდ, მაგალითებრ გამოეყვანა ექიმად, მასწავლებლად, მეურნედ, მღვდლად, უფრო ადვილად და კარგად გაირკვევდა საგანს. არა, მან განიზრახა თავისი ოქრო ყოფილიყო საქართველოში ის, რაც რუსეთში იყვნენ ბაზაროვები, ნეჟდანოვები... ხოლო ამისათვის არ აღმოუჩნდა საკმარისი მომზადება თვით ავტორს, თვით შემქნელს ოქროსას.

შეიძლება იკითხოთ: მაშ რისთვის და რად შეიყვარა ჭკვიანმა ქეთინომ ეს უხეირო ოქროვო? რისთვის და რად დააყენა ეს ყველაზედ მაღლა! რა ჰპოვა მასში სახარბიელოო?

აკი მოგახსენეთ: გული, გული და გული! ან. ერისთავისამ ისეთი გული ჩაუდო მკერდში ოქროს, რომელსაც შეუძლიან მოხიბლოს, მოინადიროს ყველა და მეტადრე ქალი. გონებითს ბარგს ოქროსას მკითხველი მერე და მერე იგებს, ხოლო კეთილშობილი მისი გული-კი პირველს გაცნობაშივე გაგიტაცებთ. ოქროს გული დიახაც მზად არის თავ-დადებისათვის, სამსახურისათვის. ჩააყენეთ ოქრო ისეთს გარემოებაში, სადაც ბევრი თავის მტვრევა არ უნდა კაცს იმის გამოსაცნობად, თუ რა არის მართალი, და ოქრო ნსწრაფლ გადავარდება სამოქმედოდ. ომიანობის დროს ოქრო პირველი გავიდოდა მტერზედ. რადა? იმიტომ, რომ გული აქვს და საგანსაც ცხადად ჰხედავს სამოქმედოს. სურათი ძირეულად შეიცვლება, როდესაც ოქროსთანა კაცებს ჩააყენებთ ისეთს ვითარებაში, სადაც უპირველესად გონების მუშაობა სჭირდება. ის აქ არ ივარგებს. დიდებული სარდალი მეფე ერეკლე ნაკლები პოლიტიკოსი იყო; დიდებული მოლაშქრე ნაპოლეონი უხეირო მმართველი იყო და მებრვე სხვები. ოქროსთანა კაცები ინატრეთ სამოქმედოდ, ოდეს საგანი უკვე გარკვეულია. ხოლო ნუ გინდათ ისინი იქ, სადაც ფილოსოფიური განსჯაა საჭირო, სადაც ტვინის ძალუმი მოძრაობაა ხელსაყრელი, სადაც საჭიროა დალაგებული, დაწყნარებული შრომა შესწავლისა და გამოკვლევისათვის.

ამ რიგად ოქრო ან. ერისთავისა ნახევარი კაცია, ცალმხრივი და, მაშასადამე, გმირად არ ვარგობს. ოქროს კეთილს გულს რომ ქეთინოს ჭკუა დაჰხარებოდა. უეჭველად ოქრო არ დაიღუპებოდა. იქნება კიდეც ამიტომ იფეთქა მათ შორის სიყვარულმა, რომ ერთი მეორისათვის ისე საჭირონი იყვნენ. ჩვენი ეხლანდელი ყმაწვილ-კაცობა მოკლებულია სწორედ იმას, რითაც ან. ერისთავისამ უხვად დააჯილდოვა თავისი ოქრო: მოსიყვარულე გულს. მშრალი, გაუმთბარი მოსიყვარულე გულის სხივებით, გონება ეგოისტურია. იგი თავისკენ ითლის ხელეჩოსავით; სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირიო, იმის შესახებ არის ნათქვამი. დღეს ცხოვრება ძალიან გართულდა, ისე, რომ ცარიელის კეთილის გულით ფონს ველარ გავა კაცი. მხოლოდ კეთილის სურვილებით აღჭურვილი ადამიანი, ხოლო გაუნათლებელი, სწავლით შეუიარაღებული, წაეგვანება იმ დათიას, რომელმაც ბუზის ასაქშევად უშველებელი ქვა სთხლიშა მეუდაბნოეს შუბლში. ასეთივეა საქციელი ოქროსი.

(დასასრული იქნება)

უთხრა მომჩივარს. ეს მოხდა 1892—94 წ. წ.

1896 წელს ქალს ეყოლა მეორე შვილი. ქმარმა ხელ-მეორედ მიჰმართა კონსისტორიას, რომ გამყარეთ ცოლს და წარუდგინა მოწმეებად ისინი, რომელთაც ქალი ენახათ ფეხმძიმობისა და ბავშვის დაბადების დროს. კონსისტორიამ განიხილა-რა ახალი შუამდგომლობა ქმრისა, დაადგინა: „რადგან მოპასუხემ განაცხადა, რომ ქორწინების სიწმიდე არ დამირღვევია და მოწმეთა ჩვენებითაც არა მტკიცდება მოპასუხის დანაშაული“, ამიტომ უარი ეთქვას მომჩივარს გაყრაზედ. ამ დადგენილების გამო ქმარმა საჩივარი შეიტანა უწმიდესს სინოდში.

რაკი ქმარი ორჯელვე ცოლმა დაამარცხა, ამიტომ ცოლის თავ-გასულობას საზღვარი აღარ მიეცა და ახლა თვით მიიტანა იერიში ქმარზედ. ერთს დღეს მოულოდნელად ეწვია ქმარს და დაბინავდა იმის სახლში. განცვიფრებულმა ქმარმა სთხოვა ქალს თავი დაენებებინა იმისათვის, მაგრამ იმან უპასუხა, რომ მე უფლება მაქვს შენთან ვიცხოვროო. ქმარმა პოლიციას მიჰმართა, პოლიციამაც უარი უთხრა, რომ უფლება არა გვაქვს შენის სახლიდგან განვდევნოთ შენი ცოლიო. ამ გვარად მისდევს დღე დღეს კვირა კვირას და ქალი ქმრის სახლს აღარ შორდება. ქმარმა იმ აზრით, რომ ჩემმა ცოლმა ხელზედ არ დაიხვიოს ის და არა სთქვას, რომ ამდენი ხანი ვიცხოვრე ქმართან, როგორც კანონიერმა ცოლმაო, იმ საშუალებას მიჰმართა, რომ ჯერ ერთი თავი მიანება სახლს და ნათესავებთან გადასახლდა და მეორედ, ყოველ გვარი მოლაპარაკება მოწმეების თანადასწრებითა აქვს ქმარს ცოლთან. დიახ 10 წლის თავის ნებად ცხოვრების შემდეგ ამ ქალმა ისიც მოახერხა, რომ ქმარი სახლიდგანაც კი გააძევაო, დასძენს გაზეთი.

უცხოეთი

გერმანია. ევროპის ყველა ჟურნალ გაზეთებმა უკვე დაჰბეჭდეს თვისი აზრი განსვენებულის ბისმარკის შესახებ. ზოგი მათგანი არ დაერიდა ჯერ ისევ ღია კუბოს და ცუდად იხსენიებს ბისმარკის მოღვაწეობას. რაღათქმა უნდა, რომ ასეთ გაზეთების უმრავლესობა საფრანგეთის გაზეთებია. გაზეთი „Rappl“ სწერს: „ბისმარკი მოუხეშავი და სისხლის მსმელი ფეოდალი იყო, მთელი იმისი ნიჭი და უნარი მხოლოდ სიცრუე იყო, სიცრუე გამარჯვებისათვისა და სხვის დაჩაგვრისათვის“. „Journal“ ამბობს—,,იმედი გვაქვს, რომ გერმანელების მიერ ბისმარკისგვამის დასაფლავების დროს ვაშას ძახილითა და გალობით ზოგიერთი მათგანი მაინც გაიხსენებს, რომ ჭეშმარიტი ღმერთი ფარისევლობის და კაცის კვლის ღმერთი არ არის და სიმდაბლით შექმნილი საქმე დიდებული არ არის და არც იქმნება. „Lantern“ სწერს, რომ „ისტორიამ იქმნება გაიკვირვოს ბისმარკის მოღვაწეობა, მაგრამ ვერ გაამართლებს კი და ბოდიშს ვერ მოხდის“ ,,Libr parol“ დასძენს: ,,ბებერი ავაზაკი ამიერიდგან ველარავის ვერაფერს დაუშავებს“. ,,Figaro“ იგონებს ბისმარკის მიერ შედგენილ ყალბ დეპეშებს ემსიდგან, ხოლო ამ გაზეთის თანამშრომელი ,,Whist“ ამბობს: ,,თანამედროვე ხალხი ბისმარკის სახელს, თუმცა დიდებული არის იგი, წყევა-კრულვით მოიხსენიებს“. სხვა სახელმწიფოთა ჟურნალ-გაზეთები იხსენებენ ბისმარკს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს და ამ მხრივ ქება-დიდებას საზღვარი არა აქვს.

გაზეთი „Times“ სწერს, რომ ნაპოლეონის შემდეგ ჯერ არა ყოფილა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საპოლიტიკო მოღვაწე, როგორიც ბისმარკი იყო. ბისმარკი ადამიანთა იმ გუნდს ეკუთვნის, რომელთა შესახებ იმ თავითვე ითქმის, რომ საქმენი მათნი არ იქმნებიან დავიწყებულნი. ბისმარკმა მუდამ კარგად იცოდა, რაცა სწადდა და თავისის სურვილის მისაღწევად მუდამ მხნედ მოქმედებდა და არ იცოდა, ყოყმანი რასა ჰქვიან. „Standard“ სწერს: ბისმარკის მიერ შექმნილი საქმე რო კიდევაც დაემხოს, კაცობრიობა მაინც არაოდეს არ დაივიწყებს იმისს საოცარს ნიჭსა და შემოქმედების უნარს.

ვენგრიის გაზეთებიც ამას ამბობენ ,,Budapest Naplo“ (ბუდაპეშტ ნაპლო) სწერს: ,,ხუთს ზღვაში გემებზე გლოვის ნიშნად გერმანიის ბაირაღები ნახევრად დაშვებულია, ქვეყნის ხუთსავე ნაწილში ბისმარკის მიერ დაარსებული ახალ-შენები ჰგლოვობენ ბისმარკის გარდაცვალებას.

თითქმის ამ აზრისანი არიან ბისმარკის შესახებ იტალიის ჟურნალ-გაზეთებიც.

ნაკვესი

[illegible]

ერთი დიდად განსწავლული, მაგრამ ძლიერ გულ-მაგიერი კაცი ჩამოვიდა აგარაკიდგან ქალაქს, მივიდა თავისს სახლში, რაღაცა წიგნები უნდოდა წაეღო, შედგა თავისის სახლის კარებწინ და წაიკითხა წარწერა, „აგარაკად წავიდნენ და აქ არ არიანო“, გაკვირვებით წამოიძახა:

— სად ეშმაკში წათრეულან, ეხლა ხომ ცალიერი უნდა გავბრუნდე უკანო!.. და გაბრუნდა კიდეც.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველას კარგად მოეხსენება, როგორ განვითარდა თანდათან სამკურნალო მეცნიერება ამ უკანასკნელ 10 წელს. ხოლო მომეტებულის სიამაყის უფლება აქვთ ჯარა-ექიმებს. ჯარა-ექიმები ეხლა კუზიანებსაც-კი ასწორებენ. ამ ბოლო დროს-კი ხელი მიჰყვეს ულამაზო და მახინჯის სახის ლამაზ სახედ გადაქმნას. შეიძლება, ძლიერ იუცხოვოთ ესა და სთქვათ, აბა ვინ გაასწორებს უშნო და ულამაზო ცხვირსა, ვინ გაალამაზებს უშნო ყურებსა და წარბებს, ვინ გასწორებს შუბლზე ნაოჭსაო. ვინა და იერმა-ტოლოგიის ინსტიტუტის ეხლანდელი ჯარა-ექიმი ვიდბური. ვსთქვათ, ადამიანს ძლიერ დიდი, კოხიანი ცხვირი აქვს. ჯარა-ექიმი ჯერ დიდის ცხვირის პატრონს აძინებს, მერე ცხვირის ორთავე მხრიდგან გასჭრის კანსა, შემდეგ ხერხით მოსჭრის ცხვირის ძვალს, რამდენიც საჭიროა, გადააფარებს ისევ კანსა, შეჰკერავს და შეახვევს. ცოტა ხანს შემდეგ ადამიანს დიდისა და უშნო ცხვირის მაგიერ ზომიერი და მოხდენილი ცხვირი ექმნება. ასევე ასწორებს ეს ექიმი პაპუა და ჩაეჭყლეტს ცხვირს. ადვილიაო, ამბობენ, აგრეთვე უშნო ყურების გასწორება. უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა ამ ჯარა-ექიმმა შუბლზე ნაოჭების გასწორებით. აი როგორ იქცევა აქ ჯარა-ექიმი. ჯერ შუბლის კანს გასჭრის იმ ადგილას, სადაც თმა იწყება. მერე იმდენს კანს ამოსჭრის, რამდენიც საჭიროა, რომ ნაოჭები გასწორდეს, ასწევს ზევით შუბლის კანსა და მიაკერებს. რაღა თქმა უნდა, რომ ჯარა-ექიმს სულ ადვილად შეუძლიან სახიდგან ამოიყვანოს ჭორფლი.

ერთის სიტყვით, ვისაც თავისი სახე არ მოსწონს და გალამაზება უნდა, შეუძლიან წავიდეს ნიუ-იორკში, იქ მიჰმართოს სახელოვანს ჯარა-ექიმსა და დირექტორს ჯონ ვიდბურს და იქიდგან გალამაზებულისა და გამშვენიერებულის სახით დაბრუნდეს. ერთი რამ არის მხოლოდ საჭირო გალამაზებისათვის,—ფული, მეტი არაფერი.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ნბ)

(შემდეგი *)

კლემაქსს მოსდევს (გვ. 424).

თუსსა: ივლისსა: თ:სა ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისი, მღდელმოძღურისა ტავრომანელთა ქალაქის ჰალაკისა სივილიისაჲ, რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მოწაფემან რომან:. გუაკურთხენ უფალო:.

დედ-მამა ბაგრატისა და თვით ბაგრატიც, პონტოს ქვეყნელნი, წავიდნენ იერუსალიმსა და პალესტინას, და იხილეს-რა ქრისტე მოციქულებითურთ და მოისმინეს რა ქადაგება მაცხოვრისა, ირწმუნეს იგი და „ღირს იქმნეს საბანელსა მეორედ შობისასა ბრძანებითა უფლისაჲთა კელითა წმიდისა მოციქულის პეტრესითა“.

შემდეგ ამისა გაქრისტიანებული სახლობა დაბრუნდა პონტოსავე. ქრისტე რომ ამაღლდა და მოციქულნი წაიდეს სასაოლად, ბაგრატს, უკვე დაობრებულს, ეწვია მოციქული პეტრე და მის სახლში გამართა ეკკლესია და ეპისკოპოსად დაადგინა მაქსიმინოს და დანიშნა მღდელნი, დიაკონნი და მრავალი ერი შესძინა ქრისტესა. ამ ეკკლესიაში პეტრემ გამოასახვინა ხატი ქრისტესი, თვისი და ბაგრატისი, მერე დალოცა ყველანი და წავიდა კილიკიას. მას გაჰყვა ბაგრატიცა, რომელიც პეტრემ ეპისკოპოსად დანიშნა და წარგზავნა სიკილიას მოსაქცევად მოქალაქეთა სურაკუზელთა და ტავრომანელთა. და ბაგრატმა სახელოვანად შეასრულა მისი მინდობილობა: მონათლა ტავრომანელთა ერი და მთავარი მათი ვონიფანტე და აღამართვინა ტაძარი ოქროჲთ შემკული.

(კაბადონი 591):

სახელითა ღუთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღუთისმშობელისაჲთა. ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯურისაჲთა და მეოხებითა წმიდისა და დიდებულისა და წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲთა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთაჲთა, ეადლითა და შეწევნითა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიუნისითა მე უღირსი გლახაკი ჰრომანაელი მამაჲ გელასი ჩემსა წინამძღუბასა (?) ღირს ვიქმენ აღწერებად წმიდასა ამას და სულითა განმანათლებელსა კლემაქსს და ცხორებასა წმიდისა მოციქულთა სწორისა ბაგრატისა სადიდებელად და სალოცველად ღუთივ-დალოცვილისა და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისთვის და ძისა მათისა გეორგი კურატპალატისათჳს. ადიდენ ღმერთმან. და სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთათჳს და ყოველთა მამათა და ძმათა ჰრომანაელთათჳს. დაიწერა კელითა სომეთ-დვალისაჲთა სოხასტებისა შინა ჰრომანაინ სასა ანაწმიდას მეფობასა დოკისასა მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასოლი მართა სამეფოს იყო:. ქრონიკონსა:. სჳ:. (=1066 წ.).

და დავდევ ეკლესიასა ჰრომანაისასა. საყდარსა წმიდათა მოციქულთასა. აწ წმინდანო მამანო და ძმანო ვინცა ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას წიგნსა ჩვენ წარსროლთათჳს ლოცვა ყავთ. ღმერთმან გარწმონოს რათა ვედრებითა თქვენითა ღმერთმან სასყიდელი შრომისაჲ მოგიეაგოს და ვინცავინ ესე წიგნი რაითაცა მიზეზითა პირვითა გინა თხოვითა გინა მძლავრებითა ჰრომანაისა ეკკლესიასა გამოაკუას იყავნ იგი წყევასა და შეჩუენებასა ქუეშე. ამინ იყავნ:.

იქვე ძველის ხვეულის მხედრულით:

ღმერთო შეონდევი ყოველი ცოდვანი მისი: ბერისა მამაცისასა ნიკოლოოზისა. რომელი ეღირსა. წმიდათა ამა წიგნსა მიმთხუევადა...

წმიდაო ნიკოლოოზ შეიწყალე ფრიად ცოდვილი საწყალობელი ხუცესი ამა მოძღვრისა ნათლულიანოს(?)

(იქვე ხუცურად): ქ. უფალო სახიერო და კაცთ-მოყვარეო: შეიწყალე გლახაკი სულითა: ბასილი ცოდვილი: ოდეს იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმესა მისისაებრ:.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 ივლისი

(ეს დეპეშა ღამის 12 საათზე მოვიდა)

ტომსკი. ირკუტსკი პირველი ტვირთის მატარებელი მოვიდა.

ნიუ-იორკი. მანილიიდგან ცნობაა მიღებული, რომ 31 ივლისს 3,000 ესპანიელი დაეცა ამერიკელთა ბანაკს მანილიასთან. ესპანიელები უკუ-ქცეულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. მეამბოხენი არ გარეულან ამ ბრძოლაში.

„Journal“-ლიც იუწყება ამ თავდასხმის ამბავს და თან დასძენს, რომ ესპანიელთა შორის 200 კაცი მოკლულია და 300 დაჭრილიაო. ამერიკელთა შორის მოკლულია 2, დაჭრილი 44.

ცეტინიე. ბოლგარიის მთავრის პატივსაცემლად ტაძარში სადღესასწაულო ღვთის-მსახურება იქმნა გარდახდილი უმაღლესთა გვამთა და მოხელეთა თანადასწრებით. საპატიო სადილის დროს მთავარმა ნიკოლოოზმა სადღეგრძელო წარმოსთქვა და განაცხადა, რომ დიდად მიხარის ჩემის ძმის—მთავრის მოსვლა, რომელსაც დიდხანს ველოდი და რომელიც რუსეთის ნახვის შემდეგ მე მესტუმრაო. ჩერნოგორია და ბოლგარია, შეერთებულნი საერთო კავშირით, ერთად, თანახმად უნდა ჰმოქმედებდნენ. შემდეგ მთავარმა ნიკოლოოზმა მთავრის ფერდინანდის სადღეგრძელო დალია. მთავარმა ბოლგარიისამ უპასუხა, რომ ჩემმა საკუთარმა სურვილმა და მოვალეობამ მომიყვანა ამ გმირ ხალხთან, რომელთანაც ბოლგარია შეერლებულია ეროვნულის კავშირითა და საერთო სარწმუნოებითაო. საერთო მოვალეობის გარდასახდელად მჭიდრო მეგობრობაა აუცილებელად საჭირო. დასასრულ მთავარმა ფერდინანდმა დალია მთავარის ნიკოლოოზის სადღეგრძელო.

განცხადებანი

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეოვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სასანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) საკანცელრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაკრეული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექ. სანდრე ფრიდლანდოვისა, № 9, სერგიევსკისა და მთის ქუჩაზედ, ალფთიანქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანტს, ტფილისს. (24—14)

კლიუკვას ექსტრაქტი,

რ. კელერისა და ამხ. მოსკოვის ქარხანაში დამზადებული, იძლევა მეტად სუფთა და კარგის ფერისა და გემოს სასმელს. ისყიდება ყველგან ყველა ქალაქის დიდ ვაჭრებდან. (Клюквенный экстрактъ). (3—მ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Іюля. 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.